საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საზოგადოებას „Must carry“-ს საკითხებთან დაკავშირებული კვლევა წარუდგინა

2012 წლის 11 ივნისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ „Must carry“-ს საკითხებთან დაკავშირებულ კვლევის პრეზენტაცია

გამართა.

ბოლო წლების განმავლობაში ქართულ სამაუწყებლო ბაზარზე გაჩნდა იდეა, რომ საქართველოშიც, მსგავსად უცხოეთის არაერთი ქვეყნისა, აუცილებელია „Must carry“ წესების შემოღება.

ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი იყო:

- საერთაშორისო სტანდარტების დადგენა;
- სხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და გამოცდილების ანალიზი;
- მოთხოვნილებები ქართულ სამაუწყებლო ბაზარზე.

პრეზენტაციაზე მოწვეულები იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლები; ასევე - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და საკითხით დაინტერესებული სხვა პირები და ექსპერტები.

2012 წლის 7 მაისს კამპანიის - ,,ეს შენ გეხება“ მონაწილე ორგანიზაციების მიერ, რომელთა შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაცაა, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი იქნა საკანონმდებლო წინადადება „Must carry“-ს პრინციპის დანერგვასთან დაკავშირებით, თუმცა ამ დრომდე მისი განხილვა არ მომხდარა.